სანოტარო აქტი

საქართველო

მე ნოტარიუსს ქ.თბილისში ქეთევან ოდილავაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში მომმართა მოქალაქე **ალექსანდრე კახიანმა.** მან განაცხადა, რომ სურს მოქ. **გიორგი მაზმიშვილისთვის** გარკვეული უფლებამოსილების მინიჭება და შესაბამისი მინდობილობის შედგენა, აგრეთვე მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად **ალექსანდრე კახიანმა** მომმართა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე წავუკითხე მინდობილობის შინაარსი. მან განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე **ალექსანდრე კახიანმა (დაბ.13.03.1953წ., მცხ.ქ.თბილისში, ს.ჩიქოვანის ქ. №4/6/8/10, ბ.36, პ/მ №01017002317, №ა1336419 გაცემული სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 26.11.2009წ.)**
„შემდგომში-მარწმუნებელი“
გიორგი მაზმიშვილს (დაბ.10.05.1992წ., მცხ.ქ.თბილისში, თემქა XIმ/რ, IIკვ, კორპ.23, ბ.50, პ/მ №01019067412, №დ1438902 გაცემული სრს გლდანი-ნაძალადევის სამსახურის მიერ 30.06.2011წ.)
„შემდგომში-რწმუნებული“
მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან.

მინდობილობა გაცემულია 3 თვის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, რომელმაც წამიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძესთან, ორი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა** და დღგ. 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ალექსანდრე კახიანი

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

67530716210712

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120830153

რეგისტრაციის თარიღი

07.08.2012 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილისი ჟ. შარტავას ქ 7
ტელეფონი: 378324

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18